აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 15

8 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა.

სხდომას
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მამუკა წულუკიძე, ქეთევან ჯიქია

აგრეთვე ესწრებოდნენ:
,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი დავით კირკიტაძე და "დემოკრატიული სიმართლის პარტიის" წარმომადგენელი ნინო ტყეშელაშვილი;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
წარმოდგენილი პროექტის გარშემო სხვა აზრი არ დაფიქსირებულა

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმომადგენლების დანიშვნის ბოლო ვადის შესახებ;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეულ პირთა ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამისი დაწესებულების შერჩევის შესახებ;

3. ინფორმაცია პარტიების/ბლოკების მიერ საარჩევნო სიების წარმოდგენის შესახებ;

4. სხვადასხვა

1. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმომადგენლების დანიშვნის ბოლო ვადის შესახებ;

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმომადგენლების დანიშვნის ბოლო ვადის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო სუბიექტის (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის) წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო კომისიაში, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს ყველა საარჩევნო კომისიში დანიშნოს ორ-ორი წარმომადგენელი, ხოლო საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარმომდგენ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიაში, ამასთანავე საარჩევნო სუბიექტმა წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას, საარჩევნო კომისიის კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატაროს წარმომადგენელი. გამოვდივარ რა აღნიშნულიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისათვის წარმომადგენლების დანიშვნის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 18 ივნისი- აღნიშნა მან. წამოყენებული საკითხის გარშემო შეკითხვები არ დასმულა, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:	მომხრე -9 წინააღმდეგი 0 (კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეულ პირთა ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამისი დაწესებულების შერჩევის შესახებ;

მოისმინეს:	ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა საკითხი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეულ პირთა ნარკოლოგიური შემოწმებისათვის შესაბამისი დაწესებულების შერჩევის შესახებ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნარკოლოგიურ ცენტრს ხელმძღვანელობს გამოცდილი კადრი, თავისი საქმის პროფესიონალი სპეციალისტი.
აზრი გამოთქვეს:	სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი მამუკა წულუკიძე, რომელმაც აღნიშნა-,, ნარკოლოგიური ცენტრი არ არის სათანადოდ აღჭურვილი იმისათვის, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეულმა დეპუტატებმა გაიარონ ნარკოლოგიური შემოწმება. ‘’ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ. მან აღნიშნა, რომ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 62- მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნარკოლოგიური შემოწმების დაწესებულებას არჩევნებამდე 10 დღით ადრე შეარჩევს უსპო. ჩვენ ბოლო ვადად 10 ივნისი გვაქვს. კამათში ჩაერია კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა, რომელმაც გამოთქვა აზრი, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიის მორიგ სხდომაზე 9 ივნისს, მოიწვიონ ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი ლევან გორგილაძე და დასმული საკითხის გარშემო მისგან მოისმინონ ინფორმაცია. გამოთქმული აზრი მისაღები აღმოჩნდა კომისიის ყველა წევრისათვის.
დაადგინეს:	იურიდიულ სამსახურს დაევალა მოემზადებინა ოფიციალური წერილი ლევან გორგილაძის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიის მორიგ სხდომაზე მოსაწვევად.

3. ინფორმაცია პარტიების/ბლოკების მიერ საარჩევნო სიების წარმოდგენის შესახებ;

მოისმინეს:	ინფორმაცია პარტიების/ბლოკების მიერ საარჩევნო სიების წარმოდგენის შესახებ, რომლის შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. მან სრულად გააცნო კომისიის წევრებს "აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, 2004 წლის 8 ივნისის 6 საათის მონაცემები, რომელიც შევიდა უსკო-ში. მერაბ კოსტავას საზოგადოება-წარმოადგინა 28 კანდიდატი, მათ შორის 10 მაჟორიტარი, საქართველოს მწვანეთა პარტია- 23 კანდიდატი-არცერთი მაჟორიტარი, დემოკრატიული სიმართლის პარტია 30 კანდიდატი-11 მაჟორიტარი, ახალი კომუნისტური- პარტია 35 კანდიდატი-6 მაჟორიტარი, ერთიანი კომუნისტური პარტია- 28 კანდიდატი-6 მაჟორიტარი, საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია 23 კანდიდატი-4 მაჟორიტარი, ბერძენიშვილი-რესპუბლიკელები 32 კანდიდატი-12 მაჟორიტარი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს 36 კანდიდატი-12 მაჟორიტარი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 36 კანდიდატი-12 მაჟორიტარი, ბლოკი "ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსათვის" 22 კანდიდატი-7 მაჟორიტარი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე